სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 22 0000885273

09/08/2022

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღებაზე უარის თქმის შესახებ

2022 წლის 19 ივლისს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შსპ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (დაწესებულების წერილი №04/07-61, ცენტრში რეგისტრაციის - №820049,) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 22 ივნისის სხდომის ოქმში (№768909, 06/07/2022) მოცემული გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვის შედეგად, საბჭოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად 60 კალენდარული დღის ვადის განსაზღვრის გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2022 წლის 27 ივლისს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი არ პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28^1 - ე მუხლის პირველი და 27^5 - ე მუხლის

პირველი პუნქტის დადგენილ მოთხოვნებს და ამავე დებულების 28^3 - ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტს უარი ეთქვას „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 2022 წლის 19 ივლისის №820049 სააპელაციო საჩივრის განხილვაზე.
2. სააპელაციო საბჭოს 2022 წლის 27 აგვისტოს სხდომის №883736, 09/08/2022 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა